პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 76

2019 წ. "22" 03

ქ. თბილისი

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეიცვალოს სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №31 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
2	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი (1)	მესამე საფეხური	ელექტრონული და ციფრული მოწყობილობების დიაგნოსტიკოს-შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040567	87		ქართული	24	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
3	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე (1)	მესამე საფეხური	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040680	62	77	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4
4	ზეინკალ-სანტექნიკოსი (1)	მესამე საფეხური	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040676	71	86	ქართული	30	ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას № 4

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №5 სხდომის ოქმის მეშვიდე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე